ოქმი:**ო31. 3125230001**
თარიღი:**18/08/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის ოქმი №8

ქ. ლანჩხუთი

15. 08. 2025 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები გიორგი ჩახვაძე და ვერიკო კვირკველია, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ხათუნა ვადაჭკორია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა ერთი საკითხი და მიმართა ბიუროს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,ონკოქეა ჯორჯიასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის” (ს/კ 402157330), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

5. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2025 წლის 25 აგვისტო 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,ონკოქეა ჯორჯიასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წელს, მომართა ა(ა)იპ ,,ონკოქეა ჯორჯიას“ (ს/ნ 433652843) გამგეობის თავმჯდომარემ ქალბატონმა მზია კვირკველიამ,

რომელმაც ითხოვა - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩა N126-ში მდებრე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებული 36.30 კვ.მ. N102 ფართის (ს/კ 27.06.51.005.01/102) უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით უზუფრუქტის ფორმით გადაცემა.

,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, პირდაპირი განკარგვის წესით, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არა უმეტეს 2 წლის ვადით, გარდა სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოების, სხვა მუნიციპალიტეტების, საჯარო სამართლის იურიდიულ პირების (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირების და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოებისა.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,ონკოქეა ჯორჯიასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

სხდომას შემოემატა საკრებულოს თვმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ.** მისი განმარტებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში მობილიზებულია შემოსავლები 24,358.0 ათ. ლარი, აქედან გადასახადები 8.445.0 ათ.ლარი, გრანტები 14.614.7 ათ.ლარი, სხვა შემოსავლები 1.298.3 ათ.ლარი, შესაბამის პერიოდისათვის გაწეულია 11.181.9 ათ.ლარის ხარჯი, აქედან, შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 4.460.1 ათ. ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით გაიხარჯა 5.198.3 ათ. ლარი.

2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 3690,7 ათას ლარს, მათ შორის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ნაშთი შეადგენდა 1399,1 ათას ლარს , საიდანაც 941,6 ათასი ლარი მიიმართა 2025 წლის ბიუჯეტში სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად. ასევე მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად და ინფრასტრუქტურული ობიექტების ნაწილობრივ ან მთლიანად დაფინანსებისთვის გაწერილია 2025 წლის ბიუჯეტში 2291,6 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 24948,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (33168,3 ათ ლარი) 75,2 %-ია.

2025 წლის II კვარტალში მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 3258,1 ათ. ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (3901,0 ათ ლარი) 83,5 % პროცენტია.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები :

მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა -691,5 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია 2258,4 ათ ლარი, 2. საერთო დანიშნულების ხარჯი : მუნიციპალიტეტის ვალდებულების მომსახურება და დაფარვა -308.3 ათ. ლარი, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა -275,6 ათ ლარი.

სარეზერვო ფონდიდან 2025 წლის II კვარტალში გახარჯულია მერის ბრძანების საფუძველზე 18550 ლარი.

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 13189,6 ათასი ლარით, რაც გეგმის 72% პროცენტია.

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 1313.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 87.4 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 1.160.8 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა და განვითარებაზე დაიხარჯა 148.4 ათასი ლარი. უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებებზე გაიხარჯა 3.9 ათ ლარი.

საგანმანათლებლო ღონისძიებებზე 2025 წლის II კვარტალში გაიხარჯა 3263,7 ათასი ლარი, რაც გეგმის - 87% პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 2493,8 ათასი ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსებაზე დაიხარჯა 751.1 ათასი ლარი რაც გეგმის 99,9 %-ია.

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 3001,6 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4562,0 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 65.8 პროცენტი. აღნიშნული სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 1798,8 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას - 1178,8 ათასი ლარი, ახალგაზრდობის მხარდაჭერას - 24.0 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 922.1 ათასი ლარით 82,21 %-ით ,მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებას მოხმარდა 124.5 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვას 797.5 ათასი ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი ახორციელებს დასუფთავების ღონისძიებებს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით შეძენილი იქნა ნაგვის

ურნები. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები. ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 1330230 ლარს, საიდანაც გახარჯულია 1160754 ლარი. არაფინანსური აქტივების ხარჯი გეგმით 30000 ლარი, გახარჯულია - 1400 ლარი. საკუთარი სახსრების ექვსი თვის გეგმა შეადგენს - 5000 ლარს, საიდანაც გახარჯულია_ 0 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მის პერიოდულ შეკეთებას. დღეის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში. გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 75%. (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 166240 ლარს, საიდანაც გახარჯულია 108619 ლარი.

მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობის კუთხით ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის მიერ საგაზაფხულო სამუშაოების ფარგლებში გასუფთავდა და კეთილმოეწყო, როგორც ქალაქის, ისე მიმდებარე ტერიტორიები. ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 162045 ლარს, საიდანაც გახარჯულია 148365 ლარი.

წყლის სისტემების ექსპლოატაცის მიზნით, ქვეპროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (გარდა ქ. ლანჩხუთისა) ხორციელდება 5600 კომლის წყალმომარაგება, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის შეუფერხებელ წყლის მიწოდებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 107205 ლარს, საიდანაც გახარჯულია 66664 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს გადმოეცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შეძენილი 5 ავტობუსი მარკა ISUZU NOVOCITI BUS, რომელიც მოძრაობს ლანჩხუთის სოფლების მიმართულებით. მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით არის გაცემული ე.წ. სატრანსპორტო ხაზი. 5 ავტობუსის მგზავრთა გადაადგილების თანხას და სატრანსპორტო ხაზის ფლობის საიჯარო ქირას კერძო სატრანსპორტო კომპანიები რიცხავენ ა(ა)იპ-ის ანგარიშზე. ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს - 98940.18 ლარს, საიდანაც გახარჯულია - 98940.18 ლარი.

უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიების ფარგლებში, ა(ა)იპ მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანას. ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს - 10000 ლარს, საიდანაც გახარჯულია- 3916 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი ქვეპროგრამის ფარგლებში ახორციელებს საახალწლო ღონისძიებების უზრუნველყოფას, სადღესასწაულო კომფორტული გარემოს შექმნასა და მოსახლეობის განწყობის ამაღლებას. საახალწლოდ განხორციელდება ქალაქის მორთვა საახალწლო დეკორატიული განათებებით, მოირთვება ქალაქის ცენტრალური მოედანი, შადრევანი და მიმდებარე ქუჩები.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება“ არის კულტურულ-შემოქმედებითი დაწესებულება, რომლის ძირითადი მიზანი და ამოცანებია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზება და გამართვა, თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 851850 ლარს, საიდანაც გახარჯულია 826105 ლარი.

2025 წლის 1 იანვრისათვის ანგარიშზე საკუთარი შემოსავლებიდან ნაშთმა შეადგინა 6118 ლარი.

2025 წელს საკუთარი შემოსავლების 6 თვის გეგმა შეადგენს - 19500 ლარს, შემოსულია -10687 ლარი. გახარჯულია - 11890 ლარი. ანგარიშზე ნაშთის სახით 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დარჩა - 4915 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა ქვეპროგრამის ფარგლებში ახორციელებს მოზარდების ჩართულობას ფეხბურთში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და მუნიციპალიტეტის წარმოჩენას ფეხბურთში ქვეყნის მასშტაბით. სკოლა შეუფერხებლად და უფასოდ იღებს ნებისმიერ მსურველ მოზარდს შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში, სადაც უტარდებათ რეგულარული ვარჯიშები.

დღეის მდგომარეობით საფეხბურთო სკოლას ჰყავს 9 ასაკობრივი გუნდი ვაჟებში და ერთი გოგონათა გუნდი, სულ 200 მოზარდი. სკოლაში დასაქმებულია 46 ადამიანი, აქედან უშუალოდ სპორტსმენებთან დასაქმებულია 22 მწვრთნელი, ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი 24.

ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 317797 ლარს, საიდანაც გახარჯულია 264238 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება არის შემოქმედებითი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულება, რომლის ძირითადი მიზნები და ამოცანებია პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებაში შემავალი სკოლების მოსწავლეებისათვის ეროვნული, კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების გაცნობა და შეყვარება, კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე, ფასიანი საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა, მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში, სხვადასხვა გამოფენებში, როგორც საქართველოში, ისევე, საზღვარგარეთ.

ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 373400 ლარს, საიდანაც გახარჯულია 336030 ლარი. 2025 წლის 1 იანვრისათვის ანგარიშზე საკუთარი შემოსავლებიდან ნაშთმა შეადგინა 4347 ლარი.

2025 წელს მშობელთა შემონატანის 6 თვის გეგმა შეადგენს - 24345 ლარს, შემოსულია -24380 ლარი. ანგარიშზე ნაშთის სახით 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დარჩა - 8907.07 ლარი

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის მიზანია სკოლამდელ დაწესებულებებში უზრუნველყოს თითოეული ბავშვის მრავალმხრივი განვითარება თამაშზე დაფუძნებული და ბავშვზე ორიენტირებული მიდგომით, სკოლამდელ დაწესებულებაში მზრუნველი და მასტიმულირებელი გარემოს შექმნა პერსონალის კომპეტენციების ამაღლებით და ოჯახებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

2025 წლისათვის 16 ტერიტორიულ ერთეულში ფუნქციონირებს 19 საბავშვო ბაღი, რომელშიც ირიცხება 717 აღსაზრდელი.

ქვეპროგრამის ფარგლებში სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის წლის გეგმა შეადგენს 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარს, საიდანაც ექვს თვეში გახარჯულია 2 514 787 (ორი მილიონ ხუთასთოთხმეტი ათას შვიდასოთხმოცდაშვიდი) ლარი.

შპს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა საფეხბურთო კლუბ ,,ლანჩხუთის ლანჩხუთის“ დაფინანსების წყაროა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი ა(ა)იპ ქართული ფეხბურის განვითარების ფონდი, სპონსორები-სს ,,ლიბერთი ბანკი, შპს ,,კერხელი. ბიუჯეტი შეადგენს 385357 ლარს. აქედან-175000 ლარი სუფსიდიაა, ხოლო 210357 ლარი-საკუთარი ხარჯი. ექვს თვეში გაიხარჯა 269904 ლარი.

შპს ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანია დარეგისტრირდა 2025 წლის 01 აპრილს, თუმცა ფუნქციონირება დაიწყო 2025 წლის 01 მაისიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით, ორი თვის გეგმა შეადგენდა 150000 ლარს, საიდანაც გახარჯულია 85630 ლარი. 2025 წლის 01 მაისის მდგომარეობით, საკუთარი შემოსავლებიდან ნაშთი ანგარიშზე არ ირიცხება. ორი თვის განმავლობაში, საკუთარი შემოსავლების ჯამური თანხა შეადგენს 51755 ლარს,

საიდანაც 24991.50 ლარი არის ლანჩხუთს მუნიციპ-ალიტეტს, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს" და სს საქართველოს ბანკს შორის დადებული 2024 წლის 26 მარტის N16022024 ხელსეკრულების შესაბამისად, სადისპეჩერო მომსახურების გაწევისთვის აუცილებელი ტრანსპორტის გაჩერების მოწყობის მიზნით ჩარიცხული თანხა.

შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენრტის" მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, სამსახური ეწევა აქტიურ მუშობას, როგორც ტურიზმის, ასევე, სოფლის მეურნეობის მიმართულებით. შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენრტის" 2025 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 259887.336 ლარით. შტატით მომუშავეთა რიცხვნობა შეადგენს 14 ადამიანს, შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა-3 ადამიანს. ცენტრის ექვსი თვის საკასო ხარჯია 106298.57 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანგარიშის სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ივლისის თვეში შემოსულობები მობილიზებულია 4695239 ლარი, მათ შორის შემოსავლები (კაპიტალურის ჩათვლით) - 4695239 ლარი, აქედან დამატებითი ღირებულების გადასახადი 1315329 ლარი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 415974 ლარი, მათ შორის ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 384632 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 2943476 ლარი; მათ შორის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 157475 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში - 176672 ლარი.

საანალიზო თვეში გადასახდელმა შეადგინა 6681359 ლარი. მათ შორის ხარჯები - 1886181 ლარი. აქედან, შტატით მომუშავეთა შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 946799 ლარი; საქონელი და მომსახურების მუხლზე მიმართულია 657277 ლარი, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ღონისძიებებზე - 135492 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 2665178 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის" (ს/კ 402157330), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წლის 17 თებერვალს წერილობით (კანცელარიის

N 04-302504887-30 - 17.02.2025 წელი) მომართა ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის“ (ს/კ 402157330) დირექტორმა, მალხაზ ჟორჟიკაშვილმა, რომელმაც „2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის N4 დადგენილებით დამტკიცებული „პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ – „სოფლის ექიმის“ კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების მიზნით, ითხოვა, 2 წლის ვადით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩოჩხათის მე-4 ქუჩის N45-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული სამი ოთახის, კერძოდ 14.10 კვ.მ. (ს/კ 27.13.43.001.01/500) - 14,88 კვ.მ. (ს/კ 27.13.43.001.01/502) და 22,81 კვ.მ. (ს/კ 27.13.43.001.01/504) ფართების უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემა.

,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, პირდაპირი განკარგვის წესით, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არა უმეტეს 2 წლის ვადით, გარდა სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოების, სხვა მუნიციპალიტეტების, საჯარო სამართლის იურიდიულ პირების (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირების და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოებისა.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის” (ს/კ 402157330), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების

პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები არ განხილულა.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი